

ქაა დულაჰვილი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი, საქართველო

ქალი წმინდანების საგალობლები მიქაელ მოდრეკილის იადგარში

მიქაელ მოდრეკილის იადგარი ტაო-კლარჯეთის ცნობილ სამონასტრო კერაში, შატბერდში, გადანერილი ხელნაწერია. „საუნჯე მეთათე საუკუნისა“ – ასე უწოდეს ამ კრებულს XIX საუკუნის დასაწყისში, როცა მისი მეცნიერული შესწავლა დაიწყო. მიქაელ მოდრეკილის იადგარი შექმნილია 978-988წწ. მისი გადამწერია თავად მიქაელი და ეფთვიმე. კრებული შეიცავს ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის (კანონებისა და მცირე ფორმის საგალობლების, სტიქარონების) უძველეს ქართულ თარგმანებს და ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ნიმუშებს. ხელნაწერი, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად არის მოღწეული, მაინც საკმაოდ მდიდარი საგალობელი რეპერტუარის შემცველია. იადგარი იწყება „ძლისპირნითა და ღეთისმშობლისანი“, შემდეგ მოდის „იადგარი საზამთროი“ უძრავ დღესასწაულთა რიგი შესაბამისი საგალობლებით²¹ დეკემბრიდან 29 იანვრის ჩათვლით, გრძელდება 9 ოქტომბრიდან 20 დეკემბრამდე. ამას მოჰყვება „დასდებელნი აღდგომისანი“, „დასდებელნი საშაბათონი“ და კრებული მთავრდება „შესხმანი ღმრთისმშობლისანი“. მიქაელ მოდრეკილის იადგარს მთლიანად აკლია მარხვან-ზატიკის ნაწილი და „იადგარი საზაფხულოი“ 25 მარტიდან 31 აგვისტომდე. თავნაკლებია მომდევნო კალენდარული წრეც 1 სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე (ინგოროყვა 1954: 756-88). იადგარის, როგორც კრებულის, ჩამოყალიბება მიმდინარეობდა მთელი X საუკუნის განმავლობაში. იგი ახალ-ახალი თარგმანებით თანდათან ივსებოდა. მიქაელ მოდრეკილის იადგარი კრებულის განვითარების საბოლოო, შემაჯამებელ ეტაპს წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს თვით მიქაელის ანდერძი, რომლის მიხედვითაც, იადგარში შესულია მისი ეპოქის თითქმის ყველა საგალობელი სრული, მოიხილეთი, უფალო ღალადყავით და ა. შ. (აღწერილობა (S) 1959: 544-567).

ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის ისტორიისთვის ამ ძეგლის მნიშვნელობა განისაზღვრება რამდენიმე ასპექტით. შევჩერდებით ორ მათგანზე. ერთი – მისი შემადგენელი ქართული თარგმანების სიძველით, მეორე – მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესული ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანების შესაბამისი ბერძნული დედნები და ზოგიერთი დღესასწაული არც მის თანადროულ და არც მოგვიანო პერიოდის ბერძნულ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში არ არის შემორჩენილი. ამდენად, უძველეს ქართულ თარგმანებს ხშირ შემთხვევაში ორიგინალის მნიშვნელობა აქვთ.

ამგვარ თარგმანთა რიგში თავსდება მიქაელის იადგარში დადასტურებული ქალი წმინდანებისადმი მიძღვნილი საგალობლები. იადგარში ვხვდებით ოთხი ქალწულ-მონამის – ანასტასია, რიფსიმე და გაიანეს, ეკატერინეს და ბარბარესადმი მიძღვნილ კანონებს .

შესაძლებელია, თავდაპირველ სრულ კრებულში შესული ყოფილიყო სხვა წმინდანების, მაგ., წმ. სოფიას და მის ასულთა, წმ. ქრისტინეს, წმ. ირინეს, წმ. ნინოს და სხვა წმინდანთა ხსენებები და საგალობლები, როგორც ვხვდებით იადგარის სხვა სინურ, ნვირმისა და იელის ნუსხებში. მიქაელის იადგარის ნაკლულობის გამო მასში მხოლოდ ამ ოთხი წმინდანის საგალობელი გვხვდება.

X საუკუნის დიდი იადგარის მეცნიერული კვლევის დაწყებისას ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვრა ხელნაწერში შესული ჰიმნოგრაფიული კანონებისა და სტიქრონების ბერძნული დედნების მოძიება და ქართულ თარგმანთა თავისებურებების კვლევა. სწორედ ამ მიმართულების შემადგენელი ნაწილია მიქაელის იადგარში არსებული ქალი წმინდანების საგალობლების წარმომავლობის, ტექსტისა და ფორმის თავისებურებების გამოვლენა. ოთხივე წმინდანის ხსენება ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში იერუსალიმური კალენდრიდან შემოვიდა. ამის დამადასტურებელია ის, რომ მიქაელის იადგარზე ადრეულ ნუსხებში sin.1, sin.34 sin.65 ჩნდება მათი ხსენებები. მათივე მოსახსენებელი დღეები გვხვდება იოანე-ზოსიმეს შედგენილ კალენდარში, რომელიც sin.34-ით არის მოღწეული (sin.65 III, 57; sin.1 IX, 63; sin.65 III, 82; sin.1 IX, 79; sin.34 VI, 21; sin.65 III, 88-89) (ალნერილობა (sin) 1978). ამ კალენდარში ქალწულ მონამეთა ხსენებები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: რიფსიმე და გაიანე 23 დეკემბერს, ანასტასია 22 ოქტომბერს, ეკატერინე 24 ნოემბერს, ბარბარე 4 დეკემბერს. მიქაელის იადგარში რიფსიმეს და გაიანეს ხსენება 11 ოქტომბერს არის, ანასტასიასი – 23 ოქტომბერს დანარჩენი ორი ემთხვევა იოანე ზოსიმეს კალენდრის ხსენებებს (გარიტი 1958: 76).

შინაარსობრივი თვალსაზრისით საგალობელთა ტექსტები რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ავლენს. ოთხივე წმინდანის საგალობელი, როგორც ტრადიციულად ჰიმნოგრაფიულ კანონს ახასიათებს, წარმოადგენს წმინდანების ცხოვრებისა და წამების ეპიზოდების ვარიაციას ოდების მიხედვით და უფრო მეტად მათი მონამებრივი ღვანლის შესხმას, განდიდებას. ოთხივე ქალწულ-მონამეა და შესაბამისად გამოკვეთილია მათი, როგორც ქრისტ-

ესთვის წამებულითა, მსხვერპლი და უფლისგან ამის სანაცვლოდ მიღებული მადლი. მაგ.:

„მწნედ იღვანე ქრისტესთვის, ღირსო ანასტასია, და მიიწიე სასუფეველსა“.

„წყაროდ მადლისად გამოსჩნდი სოფელსა შინა, ეკატერინე, და მოპრწყენ კიდენი ცისანი მადლითა საღმრთოთა“.

„საგალობელ შენდა იყუნეს, მონამეო რიფსიმე, მცნებანი და შჯულნი ქრისტეს ღმრთისანი, რომლითა მოიგე მონამებაჲ და მოქალაქობაჲ ანგელოზთა შორის“.

ზოგადად, ჰიმნოგრაფიული კანონის თარგმანის განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მასში ძლისპირთა და ღვთისმშობლისათა არსებობა და მათი და ტროპარების ურთიერთმიმართება.

ჩვენს განსახილველ საგალობელთა შემთხვევაში ასეთი სურათი გვაქვს. ოთხივე კანონის ძლისპირთა აკოლუთიები გვხვდება ადრეულ ძლისპირთა კრებულებში (sin.1, sin.14) შესაბამისი წყვილი ღვთისმშობლისებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კანონთა ძლისპირები X საუკუნის ბოლოსთვის ქართულად ნათარგმნი და ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული იყო. მიქაელის იადგარში ძლისპირებიც და ღვთისმშობლისებიც მხოლოდ დასაწყისებით არის მოყვანილი. აღნიშნული ძლისპირების ბერძნული ორიგინალები დაძვბნილია ბერძნულ ირმოლოგიონებში და გამოქვეყნებული აქვს ელ. მეტერეველს (მეტრეველი 1971: 90, 174, 185, 197).

ჩვენ შევადარეთ ძლისპირთა და ღვთისმშობლისათა და კანონების ტროპართა შორის მარცვალთრაოდენობა, თუ როგორ არის დაცული თარგმანში ძლისპირთა საზომი; საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

წმინდა რიფსიმე და გაიანე

უგალობდითსა

ქუეყანასა მწყურნებსა, ვითარცა ჯმელსა, 12

იოანე დამასკელი

განვიდა და შრომათაგან ეგვიპტისაჲთა განერა 16

ერი ისრაელისაჲ, ლალადებდა: 10

მწსნელსა ჩუენსა და უფალსა 8

უგალობდეთ 4

50 მარცვალი

ღვთისმშობლისა

კრებული ანგელოზთაჲ და კაცთაჲ 10

დედაო უქორწინებელო, გიგალობენ

შენ, 14

რამეთუ დამბადებელი მათი ღმერთი, 12
 ვითარცა ყრმაჲ, უშევ დაბადებულთა. 11 47 მარცვალი

Ἰγραν διοδεύσασι ὁ σεί Ξηράν 10
 και την Αίγυπτίαν 6
 μοχθηρίαν διαφύγων 8
 ὁ Ἰσραηλῖτη ἀνεβόα 10
 τῷ λυτρωτῆι και Θεῷ ἡμῶν ασωμεν.12* 46 მარცვალი

ქრისტეს შენეწიითა სანატრელმან რიფსიმე 13
 დათრგუნა მზაკუარი მძლავრი იგი ვეშაპი. 14
 ამას შევასხმიდეთ, მორნმუნენო, 10
 და მწსნელსა ჩუენ ყოველთასა უგალობდეთ. 12 49 მარცვალი

ნმინდა ანასტასია
 უფალო მესმასა

მესმა სმენაჲ და შემეშინა,
 განეიცადენ 13 გერმანე პატრიარქი
 საქმენი შენნი და დამიკვირდა 29 მარცვალი
 და გადიდე, ქრისტე. 16

ღვთისმშობლისა
 გვეედრებით შენ ან, ღმრთისმშობელო, 10
 ჩუენ, მორნმუნენი, 5
 მეოჯ გუეყავ ძისა შენისა, 9
 რაჲთა მაცხოვნნეს ჩუენ. 6 30 მარცვალი

Εἰσακηκῶα την ἀκοίην σου και ἐφοβήθην 15
 καταυθήσα τα ἔργα σου και ἐδοξασά σε 15 30 მარცვალი

ღუანლსა შინა უოტებელმან დღეს 10
 მწნედ დაითმინა 5
 და კადნიერად მოილო მან
 ძლევისა გვრგვნი. 15

ანასტასია ყოლად მძლემან კრავმან
 ქრისტესმან 14
 სატანჯველთა სიმძლავრესა ძლიერად დაუთმო 14

წმინდა ეკატერინე

ლამითგანსა

ლამისაგან წყუდიადისა 9

იოანე მონაზონი

უგუნურებსა შეცდომილი გზათაგან
შენთა 15

ნათლითა შენმიერიითა, უფალო, 11

დამამტკიცე მე მშვიდობით, 8

რათა ვიდოდი მცნებათა შენთა. 10

53 მარცვალი

ღვთისმშობლისა

გამოვიდა შენგან, სძალო, 8

სიბრძნე დამბადებელი და სიმტკიცე
მორწმუნეთაჲ, 15

ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, 9

ითხოვე ჩუენ მგალობელთა 8

შენთათჳს ან დიდი წყალობა. 9

57 მარცვალი

τόν ἐκ συκτὺς ἀγισσίας 8

ἐπί τῆν ψυχᾶλτων ὄνδον ἀεί πλαιώμενον 15

τῶ φωτί τῆ γνῶσῶί σου, Κύριε. 11

πυδηγῶν με ἐν τῆ τρίβῳ 8

τῶν ἐντολῶν σου καθοδηγήσῃσιν 10

52 მარცვალი

ლამესა დაბნელებულსა 8

ულმრთოებისასა გამობრწყინდა ნეტარი ესე 15

ნათლითა მით, ქრისტეს მაცხოვრისათა და, 12

ვითარცა მთიებმან რაჲ, განიოტა ბნელი 13

კერპთმსახურებისაჲ 6

53 მარცვალი

წმინდა ბარბარე

იოანე მონაზონი

აკურთხევედითსა

საქუმილი რაჲ შეითხინეს 9

სამნი ყრმანი, დაშრიტეს ვედრებითა 11

და მღვიმესა ლომთასა დანიელ 10

დაცეული იტყოდა: 6

ყოველნი საქმენი აკურთხევედით

უფალსა. 13

49 მარცვალი

ლეთისმშობლისა

გიხაროდენ, ტაკუკო 7

ოქროსაო, საესეო მანანაიათა. 12

გიხაროდენ, ღრუბელო 7

ბჭეო ტაძრისა ღმრთისაო 9

რომელმან გკშეე დამბადებელი ყოველთაჲ. 13

48 მარცვალი

ტაძარი განშუენებული 9

სინმიდითა სულისა ნმიდისაიათა, 11

მონამეო ბარაბარა, საყოფელ მალლისა იქმენ 15

და სთქუ: ყოველნი საქმენი აკურთხევედითა უფალსა. 15 50 მარცვალი

τὸν ἔν καμίνω τοῦ πυρὸς 8

τοῦσι παιῖδιαι δροσίσαντα εὐλογεῖτε 11

τον ἐν λάκκω λέόντων 7

Δαιμόν σάσαντα σμνεῖτε 9

καὶ ὑπερψύστε αὐτόν

εἰς τοῦς αἰῶνας 13

48 მარცვალი

ერთი მხრივ, ძლისპირთა და ლეთისმშობლისათა და, მეორე მხრივ, ძლისპირთა და ტროპართა შორის მარცვალთრაოდენობრივი მიმართება ადასტურებს, რომ კანონები წარმატებულ თარგმანებად შეიძლება ჩაითვალოს საგალობლის ფორმის სიზუსტის დაცვის თვალსაზრისით. რაც შეეხება შინაარსის თარგმანის სიზუსტეს, ადეკვატურობას, ჩვენ ამ შემთხვევაში შედარების საშუალება არ გვაქვს. ქართულ თარგმანთა დედნები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ნაბეჭდ გამოცემებში არ დასტურდება. X-XII საუკუნის ბერძნულ ხელნაწერებშიც არ ჩანს მიქაელ მოდრეკილისეული თარგმანების დედნები. უფრო ადრეული ხელნაწერების, კერძოდ, სინური კოლექციის VIII-IX სს. ბერძნული ტროპოლოგიონების კვლევა დიდი ხანია, დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს. ჩვენი ბერძენი და რუსი კოლეგების შეწევნით ხელთ გავაქვს IX საუკუნის ტროპოლოგიონის ერთ-ერთი ხელნაწერის ფრაგმენტი sin.gr.13 (ოქტომბერი). არც ამ ხელნაწერში არ დასტურდება ჩვენი საძიებელი დედნები. ამდენად, ვფიქრობთ, რომ დღეისთვის ნაკვლევ ბერძნულ ხელნაწერებში არ ჩანს ქართული თარგმანების ორიგინალები, ამიტომაც თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ იადგარისეულმა უძველესმა თარგმანებმა შემოინახა ბერძნული ხელნაწერებისთვის დაკარგული საგალობლები. ამიტომაც მათ ორიგინალის მნიშვნელობა აქვთ.

საინტერესოდ მივიჩნიეთ, შეგვემოწმებინა, მიქაელ მოდრეკილის იადგარის თარგმანები გვხვდება თუ არა სხვა უფრო ადრეული იადგარის ნუსხებში, და ამგვარი სურათი მივიღეთ:

რიფსიმე და გაიანეს კანონის ვარიანტულად განსხვავებული თარგმანი გვხვდება sin.65-ში.

*ქრისტეს მეუფისა შენენითა მვნემან
რიფსიმე დათრგუნა მზაკუეარი იგი ვეშაპი*

მაგ. მიქაელ მოდრეკილის იადგარი:

*რიფსიმე დათრგუნა მზაკუეარი მრავალმანქანაჲ
იგი ვეშაპი sin.65*

ძლისპირები და ლეთისმშობლისები იგივეა.

წმინდა ეკატერინეს სრული კანონი გვხვდება მხოლოდ მიქაელის იადგარში. ადრეულ იადგარებში sin.1, sin.14-ში იგი არ ჩანს. sin.65-ში არის მხოლოდ „უფალო ლალადყავსა.“

წმინდა ბარბარეს კანონი ჩანს sin.65-შიც, ხოლო sin.1-ში სხვა შინაარსის კანონია.

რაც შეეხება წმინდა ანასტასიას კანონს, იგი გვხვდება sin.65-ში, იელის იადგარში და sin.1-ში, მხოლოდ sin.1-ში უგალოდითსას სხვა ძლისპირი აქვს. ამ უკანასკნელის ბერძნული დედანი ბერძნულ ირმოლოგიონებში არ დასტურდება (აქვს მითითება ბერძნული დასაწყისით). მეტრულად ეს ძლისპირი ემთხვევა მიქაელისეულ ძლისპირს (მეტრეველი 1971: 87, 160).

sin.1

*ქრისტე, რაჟამს დაემშჳულა 9
ჯორციითა ნეფსით 5
ჯჳარსა ზედა კაცთათჳს, 7
ცხორებაჲ მოსცა, 5
მას მხოლოსა უგალობდეთ, რომელიცა დიდებულ არს. 16*

მიქაელის იადგარი

*ღმერთსა, რომელმან იჳსნა პირველ 9
ერი ზღვისაგან 5
და დაანთქა ფარაო 7
წინააღმდგომი, 5
მას მხოლოსა უგალობდეთ, რომელიცა დიდებულ არს. 16*

ეს ფაქტი საყურადღებოა. იგი ასახავს იმ ცვლილებებს, რაც ბერძნულ ირმოლოგიონებში ხდებოდა. იადგარის ადრეულ ნუსხებში sin.1, sin.14-ში არსებული ძლისპირი შეცვლილია გვიანდელ კრებულებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული იადგარების გადამწერები ბიზანტიურ ლიტურგიკულ კრებულებში მიმდინარე ცვლილებებს ევალდაკვალ მიჰყვებოდნენ და ცვლილებები გადმოჰქონდათ ქართულ ხელნაწერებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მიქაელის იადგარში დადასტურებულ ქალწულ მონამეთა საგალობლების ბერძნული დედნები დაკარულია და ქართული თარგმანები ორიგინალის მნიშვნელობისაა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი მთაწმინდელმა, რომელმაც შეადგინა მოგვიანო პერიოდის საღვთისმსახურო კრებულები, მათ შორის, საწელინდო თვენიც, მიქაელ მოღრეკილის იადგარის ეს თარგმანები უცვლელად გადაიტანა თავის შედგენილ თვენში. არც იგი მიუთითებს საგალობელთა ავტორებს, მაგრამ ფაქტია, რომ იადგარისეულ თარგმანებს მაღალ შეფასებას აძლევს. ეს ფაქტი ქართული თარგმანების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის არა მხოლოდ ქართული პოეტური თარგმანების, არამედ, ზოგადად, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიისთვის.

ლიტერატურა:

1. აღწერილობა (sin) 1978: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, შეადგინეს და დასაბუჯდად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლხევსურიანმა, ლ. ჯღამაიამ, რედ. ელ. მეტრეველი, თბ., 1978.
2. აღწერილობა (S) 1959: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.
3. გარიტი 1958: Garitte G., Le Calendrier palestinno-Georgien du sinaiticus 34 (X siecle), Bruxelles, 1958.
4. ინგოროყვა 1954: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
5. მეტრეველი 1971: ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X-XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1971.

Eka Dughashvili

HYMNS OF FEMALE SAINTS IN THE *IADGARI* OF MIKAEL MODREKELI

Summary

The *iadgari* (compilation of Hymns) of Mikael Modrekeli is a manuscript copied at Shatberdi, one of the distinguished monastic-enlightenment centers of Tao-Klarjeti. In the scholarly literature it is called "the treasure of the tenth century". Among its diverse hymns interesting in many ways, noteworthy are those devoted to women saints (riparian, canons).

In the *iadgari* we find short hymns and complete, nine odes, canons, devoted to martyrs of the early Christian period: St. Ripsime, St. Anastasia, St. Catherine and St. Barbara.

Textual analysis of the hymns shows that they were translated from the Greek. However, their originals are not altered in the extant Greek sources (in 9th-12th centuries hymnographic collections). The hymns do not seem to have been created by well-known Byzantine hymnodists, hence their trace is list in the Greek manuscript tradition. These hymns were not entered in the monthly hymns, drawn up by Giorgi the Hagiotite. Thus, the Georgian translations have preserved early Byzantine period hymns. This renders these translations unique and of the significance of the originals.

The above-listed hymns of the hymnographic collection drawn up at Shatberdi is one more proof of the special importance of manuscripts in the study of early Christian hymnography.

Novelty: Search for the originals of the hymns of the *iadgari* and study of their textological-philological peculiarities.